ავიცრათ
სიცოცხლის
გადასარჩენად!

# მითი

**მე დიაბეტი მაქვს და ვენებიც მაწუხებს, ჩემთვის ვაქცინა არ შეიძლება**

# ფაქტი

**ვაქცინაცია პირველ რიგში რეკომენდებულია იმ ადამიანებისთის, ვისაც აქვს დიაბეტი ან სისხლძარღვთა თრომბოზული დაავადებები. სწორედ ასეთი ადამიანების COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში, დიდია რისკი, რომ ორგანიზმს ვირუსთან ბრძოლა გაუძნელდეს, დასჭირდეს კლინიკაში განთავსება და მიუხედავად დიდი ძალისხმევისა მაინც გარდაიცვალოს.**

## ფაქტი

ჯანმრთელობის შემდეგი პრობლემების მქონე ადამიანებისთვის არ არის რეკომენდებული COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია:

- თუ ანამნეზში აქვს მწვავე ალერგიული რეაქცია COVID-19 ვაქცინის რომელიმე ინგრედიენტზე;
- თუ ვაქცინის გაკეთების დღეს არის ავად, ან აღენიშნება COVID-19-ის სიმპტომები. თუმცა ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია სიმპტომების ალაგების შემდგომ.

## ფაქტი

COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების უმეტესობა (გარდა ჯონსონ & ჯონსონის ვაქცინისა) საჭიროებს ორ დოზას და მისი სრულად მიღება მნიშვნელოვანია. თუ ვაქცინის მეორე დოზას არ მიიღებთ, ინფიცირებისგან სრულად დაცული არ იქნებით.

**აღნიშნული ინფორმაცია არ არის სიმართლე და ანტივაქსერული მოძრაობის ერთ-ერთი გავრცელებული, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული დეზინფორმაციაა. ვაქცინაციის ერთადერთი მიზანია შემცირდეს მოსახლეობის ავადობა და სიკვდილიანობა, რომელიც COVID-19-ით არის გამოწვეული.**

## მითი

**ლოცვა არის კოვიდ-19-სგან დაცვის ერთადერთი საშუალება**

## ფაქტი

**პატივს ვცემთ თქვენს რელიგიურ შეხედულებებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ვაქცინაციით არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ გარშემომყოფებსაც ვიცავთ. ვაქცინაცია მედიცინის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა. ვაქცინების საშუალებით, ყოველწლიურად, 3 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა ხდება.**




## ფაქტი

**ჯანმრთელობის მხოლოდ შემდეგი პრობლემების მქონე ადამიანებისთვის არ არის რეკომენდებული COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია:**

- **თუ ანამნეზში აქვს მწვავე ალერგიული რეაქცია COVID-19 ვაქცინის რომელიმე ინგრედიენტზე;**
- **თუ მოცემულ დროს არის ავად, ან აღენიშნება COVID-19-ის სიმპტომები. თუმცა ვაქცინაციის ჩატარება შესაძლებელია სიმპტომების დასრულების შემდგომ.**

## მითი

**ვაქცინაცია 2 წლის შემდგომ სიკვდილს იწვევს**

## ფაქტი

**არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც ამ მოსაზრებას დაადასტურებს. COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროგრამის მიზანია სიცოცხლის გადარჩენა და არა ხელყოფა. კვლევებით დასტურდება, რომ ვაქცინები მნიშვნელოვნად ამცირებენ COVID-19-ის გავრცელების შანსს.**

## მითი

**ვაქცინირებულებიც კვდებიან, სჯობს ჯანსაღად ვიცხოვრო და ისე დავიცვა თავი ვირუსისგან**

## ფაქტი

**ჯანსაღი ცხოვრების წესი მნიშვნელოვანია, თუმცა ვირუსის საწინააღმდეგო იმუნიტეტი არის ერთადერთი დაცვის გარანტი. COVID-19-ის ვაქცინა ადამიანის ორგანიზმს ეხმარება გაძლიერდეს და შეიარაღდეს კორონავირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებით. ეს ანტისხეულები ამოიცნობენ და ანეიტრალებენ ვირუსს სანამ ის მოასწრებს ორგანიზმში გამრავლებას და დაავადების გამოწვევას. აცრილ ადამიანებში სიკვდილიანობა მინიმუმ 15-ჯერ დაბალია აუცრელებთან შედარებით.**

# მითი

აცრის შემდეგ 1 კვირა ადამიანის იმუნიტეტი სუსტია და ადვილად შეიძლება დაავადდეს

# ფაქტი

აღნიშნული მოსაზრება მცდარია, პირიქით ვაქცინაციის შემდგომ იმუნური სისტემა ძლიერდება. იმუნური პასუხის გამომუშავებას საშუალოდ 2 კვირა სჭირდება. ამიტომ, აცრის შემდგომ, ადამიანებს ეძლევათ რეკომენდაცია მაქსიმალურად დაიცვან უსაფრთხოების ნორმები (ნიღბის ტარება, ხელების დაბანა და ფიზიკური დისტანცია), რათა დაინფიცირებამდე ორგანიზმმა მოასწროს ვირუსის საწინააღმდეგო იმუნური პასუხის გამომუშავება.

## ფაქტი

**მეცნიერების შეფასებით, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინები გავლენას ახდენს ადამიანის ნაყოფიერებაზე. ვაქცინაციის მეშვეობით ხდება იმუნური სტიმულაციის გამოწვევა COVID-19 ვირუსის, სპაიკცილების მიმართ. შესაბამისად, გამორიცხულია ქალისა თუ კაცის რეპროდუქციული ორგანოების მუშაობის რაიმე შეფერხება.**

# მითი

**კოვიდ-19-ის ვაქცინის ხარისხს არ ვენდობი, მოკლე დროშია შექმნილი**

# ფაქტი

**COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების უსაფრთხოება მკაცრი რეგულირების პროცესს ექვემდებარება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ავტორიზაციის მიღებამდე, COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებმა გაიარეს მკაცრი ტესტირება კლინიკურ კვლევებში იმის დასადასტურებლად, რომ ისინი აკმაყოფილებენ უსაფრთხოებისა და ეფექტურობის საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.**

**საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ან მის მიერ აღიარებული მკაცრი მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ავტორიზებული ვაქცინების დანერგვა ვაქცინის ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გარანტიაა.**

## ფაქტი

ვაქცინა გვიცავს COVID-19-ის რთული ფორმებით ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილისგან.. აცრილ პირებში სიკვდილიანობა მინიმუმ 15-ჯერ დაბალია აუცრელებთან შედარებით.

## ფაქტი

ვაქცინის შექმნის ერთადერთი მიზანი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა. ვაქცინაცია ამცირებს ადამიანის დაინფიცირების, ავად გახდომის და სიკვდილის რისკს. COVID-19-ის ვაქცინა პანდემიის შეჩერების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

## მითი

**ზოგადად ვაქცინების წინააღმდეგი ვარ**

## ფაქტი

**ვაქცინები ყოველწლიურად მსოფლიოში 3 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლეს იცავს. ეს წუთში საშუალოდ ხუთზე მეტი გადარჩენილი ადამიანის სიცოცხლეს ნიშნავს.**

# COVID-19-ის საწინააღმდეგო აცრა
# უფასოა
# საქართველოს მოქალაქეებისთვის!

## ვაქცინაციაზე რეგისტრაციისთვის

## ეწვიე ვებგვერდს:

## www.booking.moh.gov.ge

## ან დარეკე ცხელ ხაზზე:

# 144(3)
# 1522

ბროშურა მომზადებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) თანამშრომლობით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, შვედეთისა და შვეიცარიის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.